საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №01

ქ. ბათუმი **11 დეკემბერი, 2015 წ.**

„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის რსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 29 სექტემბრის №04 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის რსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 29 სექტემბრის №04 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ, სტიპენდიის გაცემის წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ჩვეულებრივი სტიპენდია ფრიადოსნისათვის, ჩვეულებრივი სტიპენდია კარგოსნისათვის, სახელობითი სტიპენდია გაიცემა სემესტრულად, ერთჯერადად ექვსი თვის (სექტემბერი-თებერვალი/მარტი-აგვისტო), ხოლო სტიპენდია პირველი სასწავლო წლის სტუდენტთათვის შესაბამისი წლის 1 ოქტომბრიდან თებერვლის ჩათვლით პერიოდისა, ერთჯერადად 5თვის“.

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე, კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატენთან განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ.ბარათაშვილი**